„ვამტკიცებ"

საქართველოს ძიუდოს ეროვნული
ფედერაცია

---

16 მაისი 2025 წ.

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

საქართველოს მესამე სარეიტინგო ტურნირი გოგონებში ქვეჭიდი (ნევაზა)

თბილისი

2025
30 მაისი

I. შეჯიბრების მიზანი და ამოცანები

- ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება;
- ძიუდოს მასობრიობა და პოპულარიზაცია გოგონებში;
- საშეჯიბრო გამოცდილების ამაღლება.

II. შეჯიბრების ხელმძღვანელობა

- შეჯიბრების ჩატარებას უზრუნველყოფს საქართველოს ძიუდოს ეროვნული ფედერაციის მიერ დამტკიცებული საორგანიზაციო კომიტეტი

III. შეჯიბრების მონაწილეები

- შეჯიბრებაზე დაიშვებიან 2009-2010, 2011-2012 და 2013-2014 წლებში დაბადებული გოგონები. სხვა წლებში დაბადებული ძიუდოისტები შეჯიბრებაზე არ დაიშვებიან.
- მონაწილეები ვალდებულნი არიან აწონვის დროს წარმოადგინონ საქართველოს მოქალაქეობის დამადასტურებელი ორიგინალი საბუთი (პირადობის მოწმობა, ან პასპორტი).

IV. შეჯიბრების პირობები, კენჭისყრა, ადგილი, დრო, რეგისტრაცია

- შეჯიბრება ჩატარდება თბილისში, ძიუდოს აკადემიაში, ბელიაშვილის 38.
- კენჭისყრა ჩატარდება 30 მაისს აწონვის შემდეგ.
  ჩამოსვლის დღე – 29 მაისი, წასვლის დღე – 31 მაისი.
- რეგისტრაცია შესაძლებელია აწონვების დროს.
- შეჯიბრების დასაწყისი – 10:00.

V. შეჯიბრების ჩატარების სისტემა და წონითი აკტეორიებია

- შეჯიბრება ჩატარდება ძიუდოს საერთაშორისო ფედერაციის და საქართველოს ძიუდოს ფედერაციის მიერ შემუშავებული წესების მიხედვით; წესების სრული ვერსია შეგიძლიათ ნახოთ საქართველოს ძიუდოს ფედერაციის ვებგვერდზე. http://gjf.ge/geo/calendar/georgia
- წონითი კატეგორიები:
- 2009-2010 წლებში დაბადებულები: -44კგ; -48კგ; -52კგ; -57კგ; -63კგ; -70კგ; +70კგ;

შეხვედრების ხანგრძლივობა 4 წუთი.

- 2011-2012 წლებში დაბადებულები: -36კგ, -40კგ, -44კგ; -48კგ; -52კგ; -57კგ; -63კგ; -70კგ; +70კგ;

შეხვედრების ხანგრძლივობა 3 წუთი.

- 2013-2014 წლებში დაბადებულები: -32კგ, -36კგ, -40კგ, -44კგ; -48კგ; -52კგ; -57კგ; -63კგ; +63კგ;

შეხვედრების ხანგრძლივობა 2 წუთი.

აწონვა

თბილისი, ძიუდოს აკადემია, ბელიაშვილის 38.
29 მაისი - 17:00 - 18:00.
30 მაისი – 8:00 - 9:00.

- აწონვაზე დასაშვებია 500 გრამი ზედმეტი წონა. აწონვა მოხდება მოკლე შარვლითა და მაისურით.

შეჯიბრებაში ასპარეზობის პირობები

- მონაწილეებისთვის შეჯიბრებაში აუცილებელია თეთრი და ლურჯი ფერის კიმანოს ქონა. სავალდებულოა კიმანოს შიგნით თეთრი მაღალყელიანი მაისური.
- ტურნირში მონაწილეობის საფასური შეადგენს 25 ლარს

VI. შეჯიბრების ჩატარების ხარჯები

- სპორტსმენთა, მწვრთნელთა და წარმომადგენელთა სამივლინებო ხარჯებს (მგზავრობა, ღამისთევა, კვება) გაიღებენ მომავლინებელი ორგანიზაციები.
- შეჯიბრების ჩატარების ხარჯებს უზრუნველყოფს ორგანიზატორი მხარე.

საორგანიზაციო კომიტეტი:
ტელეფონი / ფაქსი: +9952516466;
გიორგი გვიჩიანი 599885683

P.S.

- სპორტსმენის, მწვრთნელის, წარმომადგენლის მიერ განხორციელებული დარღვევის შემთხვევაში ფედერაციის აღმასკომი იმსჯელებს დისციპლინარულ საკითხებზე.

ფედერაციის პრეზიდენტი ლევან ნოზაძე